წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. კვირა 10 ივლისი

# სამშობლო

№ 401

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის ... ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 7 ივლისიდან ახალი პროგრამა.

**ბედნიერება საუკუნე ღამეში.**

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: ქ-ნ კარალლის დაბ-ნ პოლონსკის მონაწილეობით.

პარიზის მიდამოები.

სანახაობა.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 11 ივლისიდან 1916 წ.

და გავაქროლებ ჩემსა რაშებსა,

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე, ცნობილ მსახიობთა, ბ-ნ ბაკშეევისა, ქ-ნ ორლოვისა და ქ-ნ პანოვის მონაწილეობით

თმა ჭაღარა მოტრფიალე — კომედია ფარსი 2 ნაწილად ცნობილ მსახიობის კამალ დე რიზოს მონაწ.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 7 ივლისიდან ახალი პროგრამა.

გომონის ქრონიკა.

**გმირი ხმლითა და გმირი სულით.**

დრამა 3 ნაწილად ცნობილ მცირე წლოვან მსახიობის ჟანეთ ჟარდეს მონაწილეობით. საფრანგეთის ცნობილ მწერლის ჟეონ როპრეს ნაწარმოებით.

**ხუმრობა და სიყვარული**, კომიკური.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 11 ივლისიდან 1916 წ.

დორიან გრეის სურათი

ოსკარ უაილდის ცნობილ რომანის შინაარსით. ძლიერი დრამა 6 ნაწილად საიმპერატორო სცენის მსახიობის ვ. ე. მეიერხოლდის სცენარიით, რეჟისორობით და მონაწილეობით, მის მიერვე დადგმული. მონაწილეობენ: ქ-ნნი იანოვა, ერნიტან, ბელოვა, უვაროვა და ბ-ნნი: ლევიტანი, ვოლკოვი და სხვანი.

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** ი. ჩარექოშვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**
პრივატდოცენტი
ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.
2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**ბებია** მ. მ. ქოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი
**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**
25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.
სახლი ნესტორ კაჭკაჭიშვილისა.

**ს უ რ ა მ ი.**
გამოცდილი მასწავლებელი
**ამზადებს მოწაფეებს.**
მისამართი: იტრია, სახლი დურსმანიშვილისა.
245 3—1

**გამოცდილი მასწავლებელი**
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედაქც.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი
**აძლევს გაკვეთილებს**
ფრანგ'ულ ენისას.
იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.
ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე.
აბორინის ქუჩა, სახლი დიმიდოვის, სტუდენტი
244 ა. ზ. თელაია. თგ.


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 7 ივლისი. მდ. დვინის ხაზზე ალაგ ალაგ ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ვოლინშიაც საარტილერიო ბრძოლაა. სოფ. ზვინიაჩეს (გოროხოვის აღმოსავლეთით და უფრო სამხრეთით მდ. ლიპა, მდ. სტირის ხაზზე გერმანელები ჩვენ ჯარს უშენდენ.

კავკასიის ასპარეზი.

კავკასიის არმიის წინსვლა გრძელდება, ზოგმა ჩვენმა ნაწილმა 5 ივლისამდე 15 ვერსით წაიწიეს წინ და ტყვეებიც ხელთ იგდეს.

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 8 ივლისი. მდ. დვინის ხაზის ზოგიერთ ნაწილში ძლიერი სროლაა. მდ. სტოხოდზე და ლიპის შესართავთან დიდი ზიანი მივაყენეთ მტერს. რომელიც განვდევნეთ სოფ. ვერბენიდან მტერს ფეხდაფეხ სდია ჩვენმა ჯარმა და სტოხის გადასავალი ჩაიგდო ხელში. მოწინააღმდეგემ დ. ბერესტეჩნის სიმაღლეებისკენ დაიხია და ხოლო ნაწილი კი ტყვედ დაგვნებდა. ბერესტეჩნოსთან ბრძოლა გაჩაღდა. აქამდე დავთვალეთ 50 აფიცერი და 1600 ტყვე ჯარისკაცი ამ ბრძოლებში გმირულად მოკვდა პოლკოვნიკი ტატაროვი. ივნისის დასაწყისში კოზინოს მიდამოებში (დუბნოს სამხრეთ დასავლეთით) პოლ. ტატაროვი თავისი პოლკით ყელამდე ფონს გავიდა მდინარეში, მეორე ნაპირზე მტერს შეუტია და დაახევინა, თუმც მტერი გამალებით უშენდა ზარბაზნებს.

კავკასიის ასპარეზი.

ძივილიკთან ჩვენმა ჯარმა კვლავ წაიწია წინ და დაატყვევა 1 აფიცერი და 63 ასკერი. ტრაპიზონ-ერძინჯანის გზაზე რუსებმა ქ. გიუმიშხანე დაიპყრეს.

ქ. კალკიტჩავლის ჩრდილო აღმოსავლეთით ჩვენ დავატყვევეთ 30 ოსმალო აფიცერი, 1 ექიმი და 400 ასკერი, ხელთ ვიგდეთ დიდი ქარავნები.

რევანდუზის აღმოსავლეთის ოსმალთა შემოტევა უკუ ვაქციეთ.

ძივილიკის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა წინდაწინვე გამაგრებულ პოზიციებიდან განდევნა ოსმალები და 5 ივლისს წინ წაიწიეს.

ბაიბურთის დასავლეთით ციმბირის ყაზახებმა კონტრიერიში მიიტანეს ოსმალებზე, მრავალი ოსმალო აჰკუწეს და დახვრიტეს და რამდენიმე ასი ტყვედ წამოიყვანეს. 5 ივლისს ჩვენ ავიღეთ ქალ. ყიგი (მნიშვნელოვანი პუნქტი ჯვარედინ გზებისა) ერზინჯანიდან ხარპუთისა და არზრუმისაკენ. აქ ჩვენ დაგვრჩა ტყვიის საწყობი და საავადმყოფო დაპრილებით. დამატებითი ცნობების მიხედვით, მუშთან სომხეთში ახლად მოსულ დივიზიის დამარცხების დროს, ჩვენ ხელთ ვიგდეთ კულპინის ღელის შესავალში საინტენდანტო საწყობები. მასულის მიმართულებით 4 ივლისის ღამეს ოსმალთა ძლიერმა ჯარმა შემოტევა დაიწყო რევანდუზთან და ჩვენი ჯარი ახალ პოზიციებზე გადმოვიდა. სპარსეთში, სენნესთან ქურთებსა და ჩვენი ჯარის შორის სროლაა. ქერმანშაჰის აღმოსავლეთით მზვერავთა შეტაკებაა.

ისფაგანთან გავფანტეთ ჩვენი მომტრე სპარსეთის უსახლკარო ტომების გროვა.

**პარიზი.** 7 ივლისი. შუადღის ოფიციალური ცნობა. მდ. სომის მეორე მხარეს ფრანგების ქვეითა ჯარმა წინ წაიწია და წარმატება ნახა. მდ. სომის ჩრდილოეთით გარდეკურიდან ფრანგებმა გერმანელების თხრილები ჩაიგდეს ხელში და თავის ხაზი წინ წასწიეს კომბლ-კლერის ვიწრო ლიანდაგიდან რკინის გზამდე. აქ ფრანგებმა დაატყვევეს 400 კაცი. მდ. სომის სამხრეთით ბარლეი-სუაკრომ, გერმანელთა სანგრების პირველი ხაზი, ფრანგების ხელშია. ობერინის ჩრდილოაღმოსავლეთით ფრანგები გერმანელთა თხრილებში შეიჭრენ და წამოიყვანეს ტყვეები.

არგონებზე ბალონტთან გერმანელები მოულოდნელად ეცადნენ ფრანგების მოწინავე დარაჯების განდევნას, მაგრამ ფრანგებმა ხელის ყუმბარებით მოიგერიეს. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე ავაკურ-მატან კურის მიდამოებში ხელის ყუმბარებით ბრძოლა მოხდა, 304-ის ჩრდილო-აღმოსავლეთის კალთებზე. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ღამე წინ გაიწიეს ფრანგებმა ტიომონის სიმაგრეების დასავლეთით, ფლერის სამხრეთით და მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა ფრანგებმა დაიპყრეს ძლიერ გამაგრებული პუნქტი. იერიშის დროს ფრანგებმა 150 ჯარის კაცი და რამდენიმე აფიცერი დაატყვევეს.

მფრინავთა მოქმედება. მდ. სომის სამხრეთით ფრანგებმა გერმანელთა ჰაერო პლანი ჩამოაგდეს. პერსონის აღმოსავლეთით გერმანელთა მეორე ჰაეროპლანი ჩამოვარდა ვერდენთან გრემელის ახლოს.

**ლონდონი.** 7 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. წინა. ღამეს დაწყებული გერმანელთა იერიში ბაზანტენის აღმოსავლეთით მდებარე ინგლისელების პოზიციებისაკენაა მიმართული. გერმანელებმა დიდი დამხმარე ძალები მიიღეს და საღამოს 5 საათზე და 30 წამზე დაუშინეს რა მძლავრად ზარბაზნები ინგლისელების პოზიციებს, მიიტანეს მათზე იერიში ხშირი ჯგუფებით. ბრძოლა მთელ ღამეს გაგრძელდა და ნამეტანი მკაცრი ხასიათი მიიღო დედვილის ტყეში. გერმანელები დიდათ დაზარალდნენ, დევილის ტყე ხელში ჩაიგდეს და ლონგვალის ჩრდილოეთ განაპირა ნაწილისკენ გაიჭრენ.

ამ ადგილებზე ბრძოლები კვლავ გრძელდება დიდის სიმკაცრით.

სხვა ალაგებში წარმოებული იერიშები გერმანელებისა და მათ შორის სამი იერიში ვატერლონზე მიტანილი ინგლისელებმა ცეცხლით მოიგერიეს. დანარჩენ ასპარეზზე თვალსაჩინო არა მომხდარა რა.

**ლონდონი.** 7 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. მდ. სომის ჩრდილოეთით სოფ. ლონგვალის ტყის ახლოს ბრძოლა გრძელდება და თანდათან იზრდება. ორივე ალაგას ინგლისელებმა დაიბრუნეს ნაწილი წინა ღამეს დაკარგულ მიწა-წყლისა. დღეს გილიემონის მხრიდან გერმანელთა რაზმს იერიში უნდა მიეტანათ ვატერლონზე, მაგრამ ინგლისელებმა სროლით გაჰფანტეს ისინი.

**ლონდონი.** 8 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. დელვილის ტყისა და ლონგვალის შუა ინგლისელებმა კვლავ წინ წაიწიეს.

ლონგვალ-ბეზანტენის ხაზის ჩრდილოეთით ინგლისელები კვლავ წინ მიიწევენ. წამოიყვანეს ტყვეები და ერთი ზარბაზანი ხელთ იგდეს. ლენდციის რედუტის სიმაგრის აღმოსავლეთით ინგლისელები ხელის ყუმბარებით იბრძოდენ და წინ წაიწიეს.

დანარჩენ ასპარეზზე თითქმის განსაკუთრებით საარტილერიო სროლა იყო. გერმანელი ტყვე აფიცრის დღიურის მიხედვით ბონტობანთან ბავარიის სარეზერვო პოლკს 3000 კაცი დაჰკლებია, მე190 თე პოლკის ერთ ბატალიონს 980 კაცი. დაუკარგავს, 1100 სხვა ბატალიონებმა, იმავე პოლკის 3 სხვა ბატალიონებმა ნახევარზე მეტი დაჰკარგა. არმანტიესის სამხრეთით გრემილთან ინგლისელებმა ავსტრალიელების დახმარებით რამდენიმე ძლიერი ბრძოლა გადაიხადეს და 140 ჯარის კაცი დაატყვევეს.

# ადგილობრივი.

**ქუთაისი.** იმ მოქმედებით, რომელიც ქალიშვილმა ტასო კაპანაძემ, ამა წლის ხუთ ივლისს შემომასხა რა სახეზე აზოტის სიმჟავე, ბევრს ვინც-კი ამ საქმის ვითარება არ იცის, შეიძლება ეგონოს, რომ მე მართლაც რაიმე დანაშაული მიმიძღოდეს ამ ქალიშვილის წინაშე, რომელიც ყოველ საშუალებასა ხმარობს დაამტკიცოს, რომ ვითომ იგი მსხვერპლია ჩემის მოტყუებისა და მერე ღვთის ანაბარად მიტოვებული. ჩემის სახელის აღსადგენათა და საჯაროდ ჩემის უდანაშაულობის დასამტკიცებლად მესამედ, ახლა კი ბეჭდვითი სიტყვით მივმართავ ტასო კაპანაძეს და ვსთხოვ გამოვიდეს სამედიატორო სამართალში, რომლის მოწყობასაც უმორჩილესადა ვსთხოვ პატივცემულ „ქუთაისის ქალთა წრეს." დაე ამ სამართალმა გადასწყვიტოს დამნაშავე ვარ თუ არა ტასო კაპანაძის წინაშე, რომელმაც, მოისურვა რა უეჭველად ჩემზე გათხოვება, სისხლის სამართალშიც კი მიმცა, მაგრამ რაკი ოლქის სასამართლომ გამამართლა ახლა ჩემი მოკვლა განიზრახა და სახეში აზოტის სიმჟავე შემომასხა.

მაქვს პატივი დავსძინო, რომ საქმის განსაჩივრებამდე მე რამდენჯერმე ვსთხოვე გავესამართლებინეთ ქალისავე ნათესავებს, მაგრამ ქ-ნი კაპანაძე ყოველთვის უარზე იყო. ახლა კი უკანასკნელად მინდა უკანასკნელად გამოვარკვიო ამ ქალიშვილის საქციელები და ვიწვევ მას, ტასო კაპანაძეს—სამედიატორო სამართალში, რომელსაც უნდა დაესწრენ პრესის წარმომადგენლები. მე სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე საზოგადოების თვალში გარყვნილ კაცის სახელი მქონდეს.

დავით ქებაძე.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

საფრანგეთის რესპ. დაარსების დღეს დღესასწაულმა 14 ივლისს პარიზში უფერულად ჩაიარა. სრულებით არ ეტყობოდა წინაწლეების სიმხიარულე და ხალისი.

ლონდონში ამ ჟამად მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების კრებაა საფინანსო საკითხების განსახილველად.

ინგლისში ეხლა ხან ჯარისთვის იარაღის დამმზადებელ კომისიის სხდომა მოხდა, სადაც განხილული იყო რუსეთის თხოვნის შესახებ სამხ. მასალის რუსეთში გადიზიდვისა. საკითხი რუსეთისათვის დასაკმაყოფილებლად იქნა გადაწყვეტილი.

ბუქარესტის გაზეთების ცნობით კარპატის მთებზე ალარავის არ უშვებენ და არცერთ კერძო პირს ნება არა აქვს დასახლდეს კარპატის კალთებზე.

ავსტრიის მთავარი შტაბი აცხადებს, ჩერნოგორიაში არავითარი აჯანყება არ ყოფილა. აქა იქ მოხდა რაღაც ამის მაგვა-

# ომის დღიური.

— —

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** მდ. დვინის ხაზზე და უფრო სამხრეთით პოლესიემდე საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელები ენერგიულად უშენენ სოფ. ზვინიაჩს გოროხოვის აღმოსავლეთით.

**ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** კავკასიის არმიის მარჯვენა ფრთა კვლავ წინ მიიწევს. ძივილიკთან რუსებმა ოსმალები გამაგრებულ პოზიციებიდან განდევნეს. ბაიბურთის დასავლეთით ციმბირის ყაზახებმა დიდათ დააზიანეს ოსმალები. რუსებმა დაიპყრეს მნიშვნელოვანი პუნქტი ყიგი. მუშის ალების დროს რუსებს საინტენდანტო საწყობი დარჩათ ხელში. რევანდუზლან ოსმალთა დიდი ძალები წინ წამოვიდნენ. სპარსეთში რუსებმა სპარსთა ბრბო გაჰფანტეს.

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** სომმის ბრძოლის პირზე გერმანელებმა დამხმარე ძალები მიიღეს და თავის არტილერიის ძლიერ მოქმედების შემდეგ ხშირი ჯგუფებით შეესივნენ ინგლისელთა სიმაგრეებს, ნაწილი დელვილის ტყისა და ლონგვალის დაიპყრეს. გერმანელების იერიშები ვატერლოტის ფერმაზე მიტანილი უშედეგო გამოდგა და ანგლისელებმა მოიგერიეს. ბრძოლა თანდათან ვითარდება. ინგლისელებმა უკვე რამდენიმე ალაგას დაკარგული დაიბრუნეს მეორე დღესვე. ფრანგებს გარდეკურის ხაზზე წინ წაუწევიათ თავისი პოზიციები. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის სიმაგრეთა დასავლეთით და გამაგრებული პუნქტი ჩაიგდეს ხელში. ფრანგებმა ორი გერმანელთა ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ:** უმნიშვნელო ბრძოლები და ზარბაზნები სროლა სწარმოებს. პაზუბის მიდამოებში საკმაოდ ძლიერი ბრძოლა გაჩაღდა.

---

...რიც, რაც კერძო პირების პროპაგანდას უნდა მიეწეროსო.

— —

ათინაში დიდი ამბები ხდება. მეფის საზაფხულო სასახლის ცეცხლის მოკიდებამ ხალხი დიდად აღაშფოთა. 2 ივლისს შუა ღამისას მთავარ ქუჩებზე დემონსტაცია მოახდინეს, როგორც ვენიზელოსის მომხრეებმა ისე გუნარისის მომხრეებმა.

— —

საბერძნეთში დეკელიას ტყეში გაჩენილ ცეცხლს გერმანელები მოკავშირეების მომხრეებს აბრალებენ. ზარალი გამოწვეული ამ ცეცხლით 20,000,000 დრაჰმს უდრის.

— —

გერმანელებს უკვე რამდენიმე საბარგო წყალქვეშა დაუმზადებიათ ამერიკაში გასაგზავნად და ამ ორ დღეში გაუშვებენ.

— —

ცნობილ გემის მშენებელ პროფესსორ ფლამმის სიტყვით წყალქვეშა საბარგო გემს, რამდენიც საჭიროა იმდენის წაღება შეუძლიაო.

— —

სავაჭრო წყალქვეშების ნაყოფიერ მოქმედებას დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია გერმანიაში

— —

საბერძნეთის მეფეს შეუთვლია ვილჰელმისთვის, რაც შეგიძლია მალე გამოგზავნე სალონიკისაკენ ჯარი, თორემ მარტო ბულგარეთის ჯარი ვერ შეაჩერებს მოკავშირეებს, თუ იმათ შეუტიესო.

— —

გერმანულ ერთ წყალქვეშას ისპანიის მეფისათვის მიურთმევია იმპ. ვილჰელმის ბარათი, რომელშიაც ის მადლობას სწირავს ისპანიის მეფეს, რადგანაც მან მიიღო აფრიკიდან წყალქვეშა ნავებით გამოქცეული გერმანელი ჯარისკაცები.

— —

პარიზის გაზეთების სიტყვით გერმანული საბარგო წყალქვეშა ნავი ამერიკიდან წამოიღებს შავ ოქროს, რომელიც მრავლად უყიდნიათ ამერიკაში და რომელიც ყუმბარების დამზადებაში სჭირიათ ხოლმე.

— —

ჰოლანდიის პირველ მინისტრს პარლამენტში განუცხადებია, მდგომარეობა მეტად მწვავეა, და ჯარის დათხოვნა ამ ჟამად ყოვლად შეუძლებელიაო.

— —

გერმანიაში სურსათის ნაკლებობის გამო ხალხი მეტად უკმაყოფილოა სასურსათო დიქტატორის მოქმედებით.

— —

გერმანიის სხვა და სხვა წრეები კვლავ გამოსთქვამენ კანცლერისადმი უკმაყოფილებას და მოითხოვენ დაუნდობელ წყალქვეშა ბრძოლის განახლებას.

— —

ამ ჟამად რუმინეთი გადამწყვეტი ხასიათის დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოვებს.

— —

რუმინელ გაზეთის „უნივერსულ“ ის ცნობით დიპლომატიური მოლაპარაკება სრულდება და ვიდრე მოკავშირეები შეუტევენ მაკედონიით რუმინელები ომში ჩაერევიან.

— —

მოკავშირეები მოაგონებენ ბრიტიანუს, მდგომარეობა შეიცვალა ჩვენ სასარგებლოდ და აბა უნდა ჩაერიოს რუმინეთი ომშიო.

— —

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, ფრანციოსები საგძნობლად ავად. გამხდარა და საგონებელში ჩაავდო მახლობელი და ნათესავები.

— —

ირლანდიის მეამბოხეთა ცნობილ მეთაურ როჯერ კეზმენტის განსაჩივრება ინგლისის მთავრობას უყურადღებოდ დაუტოვებია და სიკვდილით დაისჯება იგიი (პ. დ. ს.)

— —

გერმანიაში ეხლა დიდი მოთხოვნილებაა უცხოელ მუშა ხელისა. მაგალითად მდ. რეინზე დამავალ გემებზე მთლად ჰოლანდიელები მსახურებენ.

— —

მაკედონიის ასპარეზზე ფრანგი მფრინავები ცეცხლ მოიკიდებელ ყუმბარებს ყრიან ბულგარელთა მინდვრებზე, რათა მომწიფებული პური გადასწვან.

— —

გერმანელებს დაულუპავთ ინგლისის ერთი სავაჭრო გემი „ანტიქვა“ და ერთი ნალმის ამომკრები „ბიუტი“

— —

საბერძნეთში გაჩენილ უზარმაზარ ცეცხლს 100 კაცი უმსხვერპლია.

## სამხედრო მიმოხილვა.

გუშინდელი დეპეშები სავსეა ცნობებით დიდი ბრძოლებისა ყველა ასპარეზებით, რომლის ინიციატივაც ორივე მხარეს ეკუთვნის, მხოლოდ უფრო მეტი უნარი და სიძლიერე მოკავშირეებს გამოუჩენიათ.

დასავლეთის ასპარეზზე, მდ. სომმის ნაპირზე გერმანელები ჰკვეთებიან ინგლისელთა სიმაგრეებს და ნაწილი ჩაუგდიათ ხელში. მაგრამ ინგლისელებს მალე გამოუცლიათ ხელიდან უმეტესი ნაწილი დაკარგულისა.

ეს გარემოება ცხად ჰყოფს ერთს, რაც ასე ახასიათებს უკანასკნელი თვის ბრძოლებს.

იმ დროს, როდესაც მოკავშირეები გულ უხვათ ხმარობენ ჯარსაც და იარაღს გერმანია ამას არა სჩადის. მოკავშირეები ყველა მასალას ცოცხალი ძალაა იგი თუ იარაღი ფართოდ იყენებენ და მოწინააღმდეგეთა სიმაგრეებს ძალით აღრჩობენ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო ვინაიდან მოკავშირეებს დიდი ძალი ჯარი და იარაღი უმაგრებს ზურგს და თავისუფლად შეუძლია მისი მოხმარება.

ასეთი არ არის გერმანელთა მოქმედება. ისინი უკან იყურებიან, ჯარი და მასალა არ შემოგვაკლდესო; შიშობენ ვაითუ უდროო დროს შემოგვაკლდეს სამარი საშუალებანი და დავმარცხდეთო.

ეს ჯარის, იარაღის ნაკლებობა და მუდამ უკან ყურებაა მიზეზი იმისა, რომ დღეს გერმანელები და მისი მოკავშირე ავსტრიელები და ოსმალონი ზედიზედ უკან იხევენ და შეძლება არა აქვთ მოკავშირეთა მიერ დიდი სამხედრო ძალების დახარჯვას, ამითვე უპასუხონ. ამის გამო ანებებენ ერთ პოზიციას მეორეზე და უკან იხევენ.

დღეს გერმანიის კავშირს მხოლოდ იმედი უკეთეს მომავლისა აკავებიებს თავს და არ უშვებს ხელიდან იარაღს. მათ რაღაც ბედის წყალობა სწამს, სწამს, რომ მომავალში მის სასარგებლოდ დატრიალდება, მაგრამ საბუთს ამისას კი არ იძლევა.

ამავე დროს კი მოკავშირენი განაგრძობენ ენერგიულ მოქმედებას და ზედიზედ ართმევენ გერმანელებს თუ მათ მოკავშირეებს ახალ ახალ პოზიციებს.

რუსებმა კავკასიის ასპარეზით შორს წაიწიეს წინ მის დასავლეთის ნაწილში, კვლავ აიღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი და სიმაღლე.

რუსები ამ მხრით მოქმედებას მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

გარდა ადგილობრივი მიზნისა ერძიჯანის ოპერაციას დიდი საბოლოო მიზანი აქვს.

რუსების მოსაზრებით კავკასიის ეხლანდელი ბრძოლები გარდამავალი ხასიათის ბრძოლებია, რომელსაც მაი აზრით უნდა მოჰყვეს საერთო ოტება, თავზარდაცემული უკან დახევა.

ამ შემთხვევაში [illegible] ბრძოლები დაედრებიან [illegible] წარსულ იანვარში მდ. [illegible] გაჩაღებულ ბრძოლებს, რასაც მოჰყვა ოსმალთა მთელ ასპარეზით უკან დახევა.

მიმართულება რუსეთის ეხლანდელ წინსვლისა სამხრეთ დასავლეთია. ეჭვი არ არის განზრახულ ოსმალთა უკან დახევის შემდეგაც რუსები ამავე მიმართულებით წავლენ წინ. ამას უკარნახებს მათი საუკუნოებრივი მისწრაფება: გაუყინავ ნავსადგურ ალექსანდრეტტასკენ. ხმელთა შუა ზღვისკენ!.

ესაა მიზანი რუსების კავკასიის ასპარეზით მოქმედებისა.

რასაკვირველია ბევრი ძალა და ენერგია ამისთვის საჭირო ხუთას ვერსზე მეტი მთა გორიან უდაბნო ალაგი უნდა გავლონ რუსებმა, მაგრამ შრომა იგი ერთი ათად დაფასდება, თუ გავითვალისწინებთ ხმელთა შუა ზღვაზე თავისუფალ ნავთსადგურის მოპოვებას და კიდევ შემდეგ გარემოებას:

რამდენიც სამხრეთისაკენ წაიწევს წინ რუსის ჯარი იმდენად ოსმალეთის ცენტრი სტამბოლი დაშორდება დანარჩენ სამაჰმადიანოს და ამნაირად სულ მთლად გაუდგებიან მას. მხოლოდ ორად გაყოფილი ოსმალთა ჯარი უბედურ მდგომარეობაში ჩავარდება.

ყველა ეს გარემოება შეასუსტებს საერთოდ გერმანიას და დაახლოვებს დღეს მოკავშირეთა გამარჯვებით ჩამოგდებულ ზავისას

ასეთია გეგმა რუსებისა, რომელთაც მიუხედავად გალიციის ბრძოლების გაჭიანურებისა დაიწყეს ახალი ოპერაცია კავკასიაში.

ვნახოთ როგორ წავა საქმე

მჭერელი.

# რუსეთი.

შტიურმერს დიქტატორის უფლებებს აძლევენ სასურსათო საკითხის გადაწყვეტაში.

— —

რუსეთში ფეხსაცმელზე ნიხრის დაწესებას მოჰყვა ვაჭრების მიერ საქონლის მრავლად გადამალვა.

— —

## უცხოეთი.

ლიბკნეხტის გამტყუნებას გერმანელი მუშები პროტესტით შეხვდნენ და ამის ნიშნად ერთი დღით გაიფიცნენ.

---

# მევახშე, ვაჭარი და მრეწველი.

ეკონომიურ მცნებათა იმ არევდარევას, რომელიც დღეს ჩვენს მწერლობას ახასიათებს, დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ამიტომ, ამ მცნებათა განსაზღვრა და განმარტება—აუცილებელია

მაგალითად, მევახშეობას, ვაჭრობასა და მრეწველობას ჩვენში ხშირად ერთმანეთში ურევენ, ერთი მეორისაგან ვერ განურჩევიათ. მევახშეობა იგივე ვაჭრობა ჰგონიათ, ვაჭრობა კი—მევახშეობა; იმავე დროს მრეწველობის ხასიათისა, ნიშნობლივი თვსების შესახებაც არა იციან რა.

ჰგმობენ ვაჭარს, როგორც მევახშეს, მევახშეს კი ვაჭრად სახავენ; იმავე დროს მრეწველი და ძველი წესით მწარმოებელი—ერთმანეთისაგან ვერ განურჩევიათ.

რა არის მევახშეობა? ეს—ძველებური პირველყოფილი კრედიტია. კრედიტს მაშინ საზოგადო, კოლექტიური ხასიათი არა ჰქონია და მევახშე—არა დიდს საკრედიტო დაწესებულებას, ბანკს, არამედ კერძო პირს წარმოადგენდა.

ერთი მხრით, ფულის სესხად შოვნის სიძნელე, მეორე მხრით, სარგებლის სიდიდე და, მესამედ, საზოგადოდ, ფულის სიძვირე—მსესხებელს მევახშის ხელში აგდებდა. ამიტომ, მევახშეობა მონობის წარმოშობის ერთერთი მიზეზი იყო.

მევახშეობის წინააღმდეგი კანონმდებლობა ამაო იყო: მის ძლევამოსილებას წინ ვერაფერი ედობებოდა.

მევახშეობდენ ვაჭრები, მემამულენი, სახელმწიფო სამსახურის პირები. ამ გზით გამდიდრება ერთობ ადვილი იყო (იხ. ამის შესახებ „რომის ისტორია“ თ. მომსენისა, „მსოფლიოს ისტორია“ შლოსსერისა და სხ.)

მაშ რა არის მევახშეობა? როდესაც კრედიტი განსაზოგადოებული არ არის, ე. ი. როდესაც მევახშე, ან კრედიტორი, კერძო პირია,—მევახშეობა ამას ჰქვია.

თუ ძველად მევახშეობა ხალხის დავალიანებასა და დამონებას შობდა, მისი გავლენა დღესაც განმანადგურებელია.

მაგალითად, ვაჭარი აძლევს გლეხს სესხად ას მანეთს. გლეხმა კი ამ სესხის ნაცვლად ორასი მანეთის ჭირნახული უნდა უზღოს. ეს—მევახშეობაა. ვაჭარი ამ შემთხვევაში მევახშეა. და ჩვენ ვიცით, როგორ გაანადგურა ამ სისტემამ ჩვენი სასოფლო მეურნეობა.

მაშ რა არის მევახშეობის განმანადგურებელი გავლენის მიზეზი? კრედიტის, სესხის აღებისა და გადახდის, მოუწესრიგებლობა, მოუწყობლობა, არგანსაზოგადოება.

განსხვავდება თუ არა ვაჭარი მევახშისაგან? თუმცა ვაჭარი შეიძლება იმავე დროს მევახშეც იყოს, მაგრამ, მას, როგორც ვაჭარს, მევახშეობასთან საერთო არაფერი აქვს.

ვაჭარია შუამავალი მწარმოებელთა შორის. არა თუ სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ ერთსადაიმავე ქვეყანაშიაც კი სხვადასხვაგვარი წარმოებაა. მაშასადამე, ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლა—აუცილებელია. და ვაჭარი—ამ დიდს ეკონომიურ მოვალეობას, ფუნქციას, ასრულებს.

როგორცა ვთქვით, ვაჭარი თვითონ არ ამზადებს საქონელს, ე. ი. არ არის მწარმოებელი. ის მხოლოდ დამზადებულ საქონელს ყიდულობს და ყიდის. და მისი უმთავრესი მიზანი—ფულის მოგებაა.

ამისთვის კი მას კრედიტის განსაზოგადოება სჭირდება. მას თუ დღეს საქონელი არ აქვს, ხვალ ხომ ექნება; ამიტომ, არავინ არ წააგებს, რომ მას დროებით ფული ანდოს. მაგრამ საჭიროა ფულის, კრედიტის, სესხის შოვნის, გაადვილება. საჭიროა, რომ ვაჭარმა, როცა უნდა, ფული მაშინ იშოვოს. იმავე დროს საჭიროა, დიდი სარგებელი არ გადახდეს. მეორე მხრით, გამსესხებლისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც იცის, რომ გაცემული სესხი არ დაეკარგება, კერძო მოვალესთან კოწიაწი და დავიდარაბა არ ექნება და თავის ფულს საკრედიტო დაწესებულებიდან, როცა უნდა, მაშინ გამოიტანს.

მაშასადამე, ვაჭრობის განვითარებას შედეგად საურთიერთო ნდობის საკრედიტო დაწესებულებათა, ან ბანკების, შექმნა მოჰყვა.

იმავე დროს ამგვარ ბანკებში ინახავენ ზედ-მეტ ფულს არა მარტო ვაჭრები, არამედ საზოგადოების სხვა კლასებიც: მემამულეებიც, მოხელეებიც, ხელოსნებიც, მუშებიც. . და არა თუ ინახავენ, არამედ კრედიტსაც ინაყოფებენ, ე. ი. სესხსაც შოვილობენ.

ამგვარად ვაჭრობა თავისთავად არა თუ მევახშეობა არ არის, არამედ განსაზოგადოებულის, საურთიერთო ნდობაზე დამყარებული კრედიტის მშობელია, რომლის ნაყოფიც არა მარტო ვაჭრებს. არამედ მთელ საზოგადოებას არგია.

ამბობენ, კერძო ვაჭრები უნდა ალიხოცონ და მათი ადგილი მომხმარებელმა კოოპერატივებმა უნდა დაიჭირონო. სასურველია, რასაკვირველია, რომ, რაც შეიძლება, მეტი მომხმარებელი, ან სავაჭრო, ამხანაგობა გაჩნდეს. მაგრამ კერძო ვაჭარს ის უპირატესობა აქვს, რომ მეტი ინიციატივა, თაოსნობა, მოეპოება, რადგან, ჯერ ერთი, მისი ნება უფრო გარეშეუწერელია, და, მეორე, პირადი სარგებლობა შობს ინიციატივას. ამიტომ, არც სასურველია და არც შესაძლებელი, რომ მთელი აღებ-მიცემობა კოოპერატივებს ჩაუვარდესთ ხელში.

მეორე მხრით, კოოპერატივები ებრძვიან საქონლის ფალსიფიკაციას და სიძვირეს და ვაჭრების შეთქმულობას საზღვარს უდებენ. ამ მხრით, კოოპერატივების მნიშვნელობა განუზომელია.

იმავე დროს კოოპერატივები ათავისუფლებენ წვრილ მიწისმუშებსა და ხელოსნებს ჩარჩ-მევახშეთაგან.

ერთი სიტყვით, კოოპერატივები—თანამედროვე ცხოვრების უსაჭიროეს ეკონომიურ ორგანიზაციას წარმოადგენენ და მათი გამრავლება და განთესვა ქვეყნის ეკონომიური წარმატებისათვის—აუცილებელია.

მაშასადამე, სავაჭრო კოოპერატივები—ვაჭრობის განსაზოგადოებასა, [illegible] კრატებას მოასწავებენ.

მაგრამ არ არის მართალი, ვითომ კოოპერატივი კერძო საკუთრებას უარყოფდეს. პირიქით, კოოპერატივის თვითეული წევრი—კერძო მესაკუთრეა, საკუთარი ინიციატივისა და თაოსნობის პატრონია. და, შეიძლება ითქვას, რომ კოოპერატივის წარმატების თავმდები—სწორედ ეს არის.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ვაჭრობის ერთი დიდი ეკონომიური მნიშვნელობა, ვაჭარი, მართალია, თვითონ არაფერს აწარმოებს, მაგრამ მწარმოებლის ივიციატივას აქეზებს მით, რომ ბაზარს პოულობს თუ ეცოდინებათ, რომ დიდი ბაზარი ექნება და კარგ ფასად გაიყიდება, მაგ., ხილი, ყურძენი, ღვინო, აბრეშუმი და სხ მწარმოებელნი ხსენებულ ნაწარმოებთა მოყვანასა და დამუშავებას კიდევაც გააუმჯობესებენ და განავითარებენ.

მაშასადამე, ვაჭრობა—წარმოების წამქეზებელი ძალია.

სამწუხაროდ, ჩვენს ლიტერატურაში ამ საკითხზე ერთობ ბუნდოვანი და გაურკვეველი წარმოდგენა სუფევს.

მაგალითად, „სახალხო ფურცელს“ მარტო სავაჭრო კოოპერატივების მმიშვნელობა სწამს და წვრილ ვაჭრებს უბრალო მევახშეებადა სთვლის. მაგრამ, თუ დროჲსა და გარემოების მიერ იძულებით ვაჭარი ხან და ხან მევახშედ შეიქნება ხოლმე ან, თუ ზოგიერთი პირი ერთსა და იმავე დროს მევახშეც არის და ვაჭარიც, ეს კიდევ იმას არ მოასწავებს, რომ ყველა ვაჭარი ყოველთვის მევახშე იყოსო, განვიმეორებ, საზოგადოდ, ნორმალურს, ჩვეულებრივ პირობებში, როგორც კოოპერატივები, აგრეთვე წვრილი ან მსხვილი ვაჭრები—თანამედროვე ეკონომიური ორგანიზაციის ერთერთი აუცილებელი რგოლია, რომლის მნიშვნელობის უარყოფაც, სხვა რომ არა იყოს-რა, უსამართლობაა.

იმავე დროს ვაჭართა კლასის ეროვნული მნიშვნელობა ხომ ყველასთვის, ვინც კი პარტიული ფანატიზმით დაბრმავებული არ არის, უეჭველია.

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ საქართველოს არც ერთს ქალაქში არცერთი ქართველი ვაჭარი არ არის და მხოლოდ უცხოელები ვაჭრობენ. ეს ხომ ჩვენის ეროვნული სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა?

და სწორედ საკვირველია, „სახალხო ფურცელი“ რომ მთელს ხსენებულ სოციალურ კლასს ასე დაუფიქრებლად ჯიკაობს და მავნებლად აცხადებს!

განვსაზღვროთ, მაშასადამე, ვაჭრობის მნიშვნელობა. ვაჭრობა საშუალებას გვაძლევს შევიძინოთ და მოვიხმაროთ მრავალფერი საქონელი, ქმნის განსაზოგადოებულ კრედიტს, ე. ი. აადვილებს სესხის მოპოვებასა და ამცირებს სარგებელსა, თანშეეწევა და აქეზებს ახალ საწარმოო დარ-



**თეოფილე ხუსკივაძე.**

მისი 35 წლის იუბილეის გამო დ. ზესტაფონში.

## წუნარ და მშვიდ მუშაკის იუბილე.

დღეს, დ. ზესტაფონში ზესტაფონელები იუბილეს უხდიან თავის ღვიძლ შვილს თეოფილეს. თეოფილეს მწერლობამ აქ აიდგა ფეხ.; გაშალა ფრთა. აქ ამოძრავდა პირველად მისი კალამი, აქ ამეტყველდა პირველად მისი სამწერლოენ.

დღეს ზედმეტად ვთვლით აღვნიშნოთ მისი მოღვაწეობა, როგორც სახალხო მასწავლებლისა დ. ზესტაფონში. ეს საკმარისად აღნიშნეს და დააფასეს თვით ზესტაფონელებმა და ჟურნალ ,,შკოლა და ოჯახმა". და დღეს კი ზესტაფონელები თვით წარდგებიან პირის-პირ წყნარ და მშვიდ თეოფილეს წინაშე, გულმხურვალეთ გადაეხვევიან თავის მასწავლებელს ისინი და მიულოცვენ 35 წლის მოღვაწეობას.

მართალია თეოფილე არ ბრწყინავს ისე, ვით ჩვენი მწერლობის ზოგი დიდი მნათობნი, მაგრამ მის მიერ 45 წლის განმავლობაში ნაღვაწი არა ერთსა და ორ თაობას აღმოუზრდის განაწამებ ერს

დიად, მისი კაცთმოყვარეობის მღაღადებელი პატარ-პატარა მოთხრობები შესაფერისს კვალს დასტოვებს სამშობლოს ჯეჯილზე და მაზე აღზრდილნი შვილნი მადლობით მოიხსენებენ მის ავტორს.

წყნარი და მშვიდია მისი ნაწარმოებნი ისე, ვით თვ᾽თ თეოფილე. და დღეს თუ ზესტაფონელებს წილად ერგო პირველად სახალხოდ აღნიშნონ მისი თანადასწრებით მისი მოღვაწეობის იუბილე, ეს იმის მომასწავებელია, რომ თეოფილეს მიუძღვის სამსახური ერის წინაშე და სამშობლოც არ ივიწყებს მას, და ზესტაფონელებთან ერთად მადლობის გვირგვინს დაადგამს დღეს თავს.

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

✦ დღეს, დ. ზესტაფონში დიდის ზეიმით გადაიხდიან თეოფილე ხუსკივაძის 35 წლის მოღვაწეობის იუბილეს.

ლექტორი ალექსანდრე გარსევანიშვილი წაიკითხავს ლექციას „საქართველოს გაერთიანების მღაღადებელი კანცლერი მეფე ერეკლე მეორისა სოლომონ ლეონიძე.

დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, ალ. გარსევანიშვილი, ტრ. ჯაფარიძე, ტ. მარგველაშვილი, ილ. ეღენტი, ვასილ წერეთელი და სხვანი.

იუბილეის შემდეგ გაიმართება თეოფილეს პატივსაცემლად ნადიმი.

**ქართველის გამოგონება** ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის 8 კლასის მოწაფემ, ალ. ნაზაროვმა გამოიგონა მანქანა, რომელიც ჰაერის მჟავბადიდან ჰკრებავს ელექტრონის ძალას. ვაჭრობა—მრეწველობის სამინისტროს ტეხნიკურმა კომიტეტმა გამოგონება მოიწონა და ნაზაროვს ამ დღეებში პრივილეგია მისცა, როგორც ბ—ნ ნაზაროვს უთქვამს მისი მანქანა ელექტრონის ძალას 25-30°/₀ გააიაფებს მას სურს ეს გამოგონება რომელიმე რუსულ ფირმას მიყიდოს

✦ **სანოვაგის ფასები.** ქუთაისის ბაზარზე ფქვილი ფუთი 2 მან. 70 კაპ სიმინდი 2 მან. 30 კაპ· ყველი ოყა მანეთი და 20 კაპ. ჩარექი კი მანეთი; პამიდორი—50 კაპ. კარტოფილი მანეთი და 70 კაპ. ხახვი—მანეთი და 20 კაპ. კვერცხი თითო შაურით კომბოსტო ფუთი მანეთი და 20 კაპ. კიტრი 100 ცალი მანათი და 20 კაპ ნესვი საპალნე (30 ცალი)—4 მანათი; საზამთრო 100 ოცი მანეთი. ვაშლ ატამი – 3 მანათი; ატამი – 4 მანეთი გულაბი მსხალი 4 მანეთი; სხვა მსხალი 2 მან. 50 კაპ. შავქლიავი – 2 მან. 50 კაპ., გაურჩეველი-კი —2 მან.; ლეღვი ფუთი სამი მანეთი. ბალის ვაშლი—2 მანეთი

— კვირას 17 ივლისს სოფელ როხში ვ. ჩხიკვაძის, მონაწილეობით და სცენის მოყვარეთა დახმარებით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ,,მოტყუებული'' ორ მოქმედებიანი კომედია ცნობილაძისა და ,,უბედური დღე'' ვოდევილი ვ. ბალანჩივაძე.

— სოფელ ჩილოვანის, შორაპნის მაზრის, მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქ. გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მათ გახსნან უფასო სახალხო სამკითხველო არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე. კვლავ მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს დ. ხრესილში ჟორჟოლაძეების აბანოზე გაიმართება წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით, ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო სოფელ ძიმითში, ოზურგეთის მაზრაში, გახსნან მომხმარებელი საზოგადოება.

— გუშინ დილის მატარებლით ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი თბილისს გაემგზავრა.

— ივანოვის ქუჩის შესახვევში, ნაგორნი უჩასტკის უკან დიდი სიბინძურეა, ყრიან მკვდარ ქათმებს და სხვა რაიმე სიბინძურე ჩვეულებრივი მოვლენაა იქ საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. ვისგანაც ჯერარს.

— საჭიროა დიდძალი მუშა ქალაქ ტრაპიზონში წასაყვანათ; ფასები შემდეგია: მიწის მუშას დღიურად 2 მან, და 25 კაპ, ქვის მტეხველს 2 მან. 50 კაპ. დურგალს 2 მან. 50 კაპ —3 მან. 60 კ. მხერხავს 3 მან. 60 კაპ. და მჭედელს 2 მან 50 კ —3 მან. 60 კაპ. მუშას დღიურ ხელფასის გარდა ეძლევათ სასმელ საჭმელი და ბინა, მსურველნი უნდა შეეკრან პირობით არა ნაკლებ 3 თვის ვადით ე. ნ. ფალავას, რომლის მისამართი შემდეგია: ქუთაისი, ბალახვნის ქუჩა სახლი № 43 ტორაძისა.

— სოფელ ობჩაში! მანაველ შვილდაძის სახლში 2 ივლისს გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „მოტყუებული" და „ორი მშიერი" ხალხი მრავალი დაესწრო წმინდა შემოსავალი გადადებული იქმნა სამკითხველოს სასარგებლოდ.

— სოფელ ნოსირის მცხოვრებმა ქალმა თებრონე მილორავამ განუცხადა ქ. გუბერნატორს, რომ 16 ივნისს ღამე მილორავას ქალს განუზრახავს მისი მოკვლა და რევოლვერიც უსვრია მისთვის, მაგრამ ააცდენია.

— გატარცვა 22 ივნისს სოფელ თეკლათში, ძველი სენაკის საბოქაულოში ყაჩაღებმა გატარცვეს გაიკ მორჩილოვი და იონა გვარამია.

— ქუთაისში კვლავ მოვიდა რამდენიმე ვაგონი სიმინდი სოფლებისათვის სესხად დასარიგებლად. მოიტანეს აგრეთვე გასაყიდი სიმინდიც. სიმინდი იყიდება ფუთი მანეთი და 30 კაპ.

✦ ქუთაისის ბაზარზე უკვე შემოვიდა ყურძენი და კვახი.

✦ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით ქუჩებში პატრულები გაამრავლეს რომ რაიმე არეულობა არ მოხდეს.

✦ სოფ. ბულხაურის, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლებმა ისაკ გოგუაძემ, ს. კუპრაძემ და ვლადიმერ მარგალიტაძემ შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რათა ნება დართოს გახსნან სოფ ბულხაურში მომხმარებელი საზოგადოება „სარგებლობა.

✦ სოფელ წესის, რაჭის მაზრის მცხოვრებლებმა ალექსი კერესელიძემ, სტეფანე ბიჩაშვილმა და ამირან ლაშხმა ამ დღეებში შუამდგომლობა აღძრეს ქ. გუბერნატორის წინაშე, გახსნან სოფელ წესში მომხმარებელი საზოგადოება „შეგნება".

✦ სოფელ აბაშის, სენაკის მაზრის მცხოვრებლებმა: აკაკი გრიგორიამ, კონსტანტინემ და მაქსიმე თოფურიძეებმა და მიტროფანე შალამბერიძემ შუამდგომლობა აღძრეს ქუთ. გუბერნატორის წინაშე გახსნან სოფ. აბაშაში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა

✦ 5 ივლისს ქუთაისის გუბერნატორმ ნება დართო გახსნან სოფელ ეგში (სენაკის მაზრა) მომხმარებელთა საზოგადოება „სინათლე"

## ჩემი პასუხი ,,არა ებრაელს".*)

(გაგრძელება იხ. „სამშ." № 400)

საქართველოს აყვავება რომ ქართველმა ერმა შესძლოს, ჩვენი ხალხიც მასთან ერთად აყვავდება. ამას მოითხოვს ჩვენი პირადი ინტერესები და ამიტომ მოვითხოვ მათთან დაკავშირებას. ეს მოთხოვნილება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება იმ ჩემ მცირე მოთხოვნილებას ე. ი. ჩვენი ხალხის წარმატებას რელიგიურად, კულტურულად და ეკონომიურად. მათი კულტურული აღორძინების რეცეპმის ქადაგებას. 2. პროვინციებში თალმუდთორაების სისტემატიურად მოწყობა 3. სადაც ისწავლიან, უნდა ისწავლონ როგორც ეროვნული ებრაული ენა, იქ ქართული, როგორიც სამშობლო ენა და რუსული როგორც სახელმწიფო ენა 4. კი მათი ეკონომიურად აღორძინების რეცეპტი, ეს ვსთქვი, სახელოსნო სასწავლებლის დაარსებაა აქ ქუთაისში. . აბა ვსთქვათ, გავახორციელეთ ესენი, ეწინააღმდეგება რამე ქართველი ერის მისწრაფებას? განა გამოვცდით უფრო მეტის მცოდნე ქართველი ერის ლიტერატურისას და მათი მწერლობისას? თუ ჩვენ ბავშებს ეცოდინა ებრაული ენა განა სწყენია ეს ქართველი ერისათვის, მე ეს არ გამიგონია ჯერ არც—ერთ ქართველიდან. „პაპაზე მეტი კათოლიკეაო" დასძენს კლაუზენერი თავის გმირს. ქართველზე მეტ ქართველობას იჩენთ და მათ ახვევთ იმისთანა რამეს რაც მათ ჩვენთვის არ მოუთხოვია და არც მოითხოვენ. ნეტავ ვიცოდეთ ვინ მოგცათ ამის უფლება განა მართლდება ანტისიმიტ ლიფერის სიტყვა: „ებრაელი რომ თავის ერს გაექცევა საშინლათ სდევნის მას და მის კულტურასაო". განა რუსეთის უნივერსიტეტში უკეთეს ამხანაგებს ვერ შეხვდით პატიოსანო სტუდენტო! რომ მაგრე გზა აბნეული არ დაბრუნებულიყავით ჩვენ და სამწუხაროდ სამშობლო საქართველოში!? თქვენ ჩემ წერილებზე იძახით ვითომც მათი არევ დარევა გამოიწვია ხალხში და ზიანის მეტი არ მოეტანოს რა".

ზიანს რას მოიტანდა როცა არაფერი იყოს წასახდენი, საწუხაროთ მართალია, არც მიზანის თავი მიმიღწევია მაგრამ ეს ხომ ერთი უკიდურესი ფანატიკოსის პირის გავლენით მოხდა და მეორეც იმითი, რომ თქვენისთანა სტუდენტებისათვის, არამც თუ უძლევია სწავლა განათლებას, პირიქით შეგნება დაუკარგამთ თორემ თუ ეს ასე არ ყოფილიყო ცოტათ თუ ბევრათ ჩვენი ხალხიც წინ წაიწევდა, რომლის მიზანიც იქნებოდა ჩვენი ერის სასიამოვნოთ და ქართველი ერის საბედნიეროთ პატიოსანი რაბინი ელუაშვილი ებრაელობასთან მაბეზღებს და თვით რუსეთის ებრაელებთანაც, რომ ხალხის სჯულიდან გადაყვანა სურსო" და ქართველებთან მაბეზღრებს ებრაელების ქართველებიდან გამოყოფა სურსო, ამას გარდა შუგიწვიეთ ეროზაში და არ მოსვლიხართ სამედიატორო სამართალში არ მოსულხართ თქვენ ძალ მამრეობით იქცევით და აი სწორეთ ამით მჯობნით, და სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ჯერ არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ჩვენ გულის ტკივილის ლაპარაკს. საბრალო ხალხთან მხატავთ მათი მტრად არ უხსნით სიმართლეს და არც მე მანებებთ მივიდე მასთან; მიზეზი არევ-დარევისაც თქვენ ხართ და არ მე სცადეთ, მოახდინეთ კრება, მოწვეულ იქმნეს მთელი საქართველოს ებრაელების წარმომადგენლები, მათთან ქართველი წარმამადგეენლებიც მობრძანდენ და მელაპარიკეთ თქვენც და ბ. ქუთაისის რაბინ ელუაშვილიც. საჯაროთ ავუხსნათ ხალხს თქვენი ნათქვამი და მე ჩემი ნათქვამი. თქვენ ათას ჯერ იძახეთ „ბააზოვი სიონისტიაო" (სიონიტების შესახებ ცალკე პასუხს გაგცემ) მაინც ვანახოთ ვისკენ იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას ჩვენი ხალხი და, ვისკენაც სთქვან ჩვენ დავთანხმდით. მიპასუხეთ ამაზე თუ სიმართლე გაქთ სათქმელი მაგრამ ამას თქვენ გაურბიხართ, რადგანაც იციც წინ და წინ, რომ გაიგოს ხალხმა სიმართლე მაშინ ხომ ნათლათ გამოჩნდება თქვენი სიმრუნდე. თქვენ მე გთხოვთ რომ პირ-ბადე ავიხადა და საჯაროთ დამოვსტყდე ჩემ სიონისტობაში.

ამაზე ცალკე წერილით გესაუბრებით, რადგანაც ეს წერილი ესე იგი ისედაც ძაან გაგძელდა და მეც მოგთხოვთ, რომ ნილაბი აიხადოთ და საჯაროთ გამოსტყდეთ, რომ მის შემდეგ თქვენ შესწყვეტთ ეროვნულ კავშირს 14 მილიონ ებრაელობასთან, ისე მოიქეცით როგორც მოიქცა თქვენისთანა მოაზრე ასი მილატორი (ავსტრიის მოსეს მოძღვარი) გეგენის ვენის პარლამენტში. როცა 15 ოკტომბერს: უნდა მომხდარიყო ებრაელთა უქმე ქიფური, თავმჯდომარემ პარლამენტს სთხოვა სხდომები გადაედვათ, რადგანაც ეარაელების დეპუტატები ვერ დაესწრებიანო დღესასწაულის გამო. გეგერმა სასტიკი პროტესტი განაცხადა: „ჩვენ ავსტრიის ებრაელები სრულიათ მოწყვეტილი ვართ ებრაელის ერს და მათ უქმეებსაო". ქ. პარიზში როცა ერთი დღის დასვენება გადაწყდა ერთმა დეპუტატმა მოითხოვა: „რადგან ელზასში ებრაელის მუშებიც არიანო და მათ შაბათს დღეს აქვთ დასვენებაო და თუ კვირას დავავალდებულებთ დაისვენებს, შაბათს ხომ უნდა იმუშაონ ებრაელებმა და ეს კი შევიწროვება იქნება სხვა ერებისაო. ამიტომ უნდა იქნეს ნათქვამი კვირეში ერთი დღე და ვისაც რომელ დღეს უნდა იმ დღეს იუქმოსო. ებრაელის ასიმილატორმა ტურომ არ დასთანხმდა და შემდეგი წარმოსთქვა: „ჩვენ ფრანგები ვართ, მათ ეროვნულ დღეს კვირეს ვიუქმებთო და მოსეს სჯულზე კვირესაც შეგვიძლია ვილოცოთო მართლაც. ყველა ასე მოიქცა და ბევრგან შაბათი კვირაზე შესცვალეს. მოსეს მოძღვრებამ ლოცვის წიგნებში, სადაც ნათქვამია სიონი ან იერუსალიმი სულ ამოფხვნეს და არც ებრაელურ ენაზე ლოცულობენ, თქვენც თუ მართლა ნამდვილი ასიმილატორი ხართ ასე აღიარეთ საჯაროთ, გაბედულათ

დ. ბააზოვი

## პატარა ფელეტონი

### ფარდის ჩამოშვების შემდეგ.

უხილავმა დაათავა უკანასკნელი მოქმედება დრამისა და წერტილი დასვა. ადამიანი გაიზმორა ერთი საშინლად გაიძაგძაგა, თვალები გადაატრიალა და სამუდამოდ განისვენა.

მოკვდა ადამიანი!..

ვილაც მოხუცებული მივიდა. თვალებზე ხელი დააჭირა, ბლბად იმისთვის, რომ ღია არ დარჩენილიყო. მეორემ ხელები გადაუჯვარადინა და ფეხები გაუსწორა. პატარა ღია ფანჯრებში მძლავრად შემოიჭრა ქარი, ლამპარი ჩააქრო და ცოცხალთ ღრიალით ჩასძახა:

„მოკვდა ადამიანი"!

შეხედეთ, როგორ გაუფითრდა სახე! ცოტათი შავი ფერიც გადაეკრა. ჰმ, საკვირველია! ეს ადამიანი არ იყო, რომ ბავშობისას ხის ჯოხზე გადამჯდარი, მირბოდა თვალებ გაბრწყინვეაული; ეს არ იყო გულის ტოლის დანახვისთანავე სახე რომ გაუალისფერდებოდა, ვით მზის ამოსვლისას გაბრწყინდება აღმოსავლეთი... ეს არ იყო რომ, მომავალზე საუბარში ღიმილი აუთამაშდებოდა ხოლმე... ეხლა?

სად წავიდა ნეტა ის სისხლი, სახეს რომ ასე მოაწვებოდა?... საგები არაა

---

გთა აღმოცენებასა და, საზოგადოდ, წარმოების გაუმჯობესებას. იმავე დროს ვაჭრობა თანამედროე ეროვნული კულტურის, განათლებისა და მოქალაქობის ფუძეა.

ვინ არის მრეწველი? მრეწველი ერთსადაიმავე დროს ვაჭარიც არის და მწარმოებელიც. ყოველი ვაჭარი მრეწველი არ არის, მაგრამ ყოველი მრეწველი—ვაჭარია. აგრეთვე ყოველი მწარმოებელი მრეწველი არ არის, ყოველი მრეწველი კი მწარმოებელია.

და მრეწველის უპირატესობა—სწორედ ამ ორი ფუნქციის შეზავებისაგან წარმოსდგება.

მრეწველმა ის საქონელი უნდა გაჰყიდოს, რომელსაც თვითონ ამზადებს. მაშასადამე. მისთვის წარმოების გაუმჯობესება—სიკვდილ სიცოცხლის საკითხია.

ვაჭარი წარმოების გაუმჯობესებას მხოლოდ აქეზებს, თანშეეწევა, მრეწველი კი, როგორც ვაჭარი და მწარმოებელი, იძულებულია,—რომ საყოველთაო ეკონომინომიური ცილობის დროს არ დამარცხდეს,- თავისი წარმოება თვითონვე გააუმჯობესოს.

ამიტომ, თანამედროე საწარმოო ტეხნიკისა და მისგან შობილი მეცნიერების განვითარება უმთავრესად—მრეწველობის შედეგია.

მაშ, თუ გვსურს, რომ ეროვნულმა წარმოებამ ტეხნიკის უკანასკნელ საფეხურს მიაღწიოს, მრეწველობის განვითარებას უნდა თანშევეწიოთ.

მაგრამ საიდან ჩნდება მრეწველობა? მრეწველობას წინ უძღვის ვაჭრობა. ვაჭარი ახალ საბაზრო მოთხოვნილებათა გამო, ე. ი. რომ მყიდველის განვითარებული გემოვნება კმაჰყოს, იძულებულია თვითონვე შემქნეს მწარმოებელი.

„სახალხო ფურცელი" ვაჭრობის მნიშვნელობას უარჰყოფს და მხოლოდ მრეწველობის განვითარებას თანაუგძნობს. მაგრამ მრეწველი ხომ მხოლოდ ვაჭრისაგან იშობება, რომელსაც ამისთვის საკმაო ფული და გამოცდილება მოეპოება?!

მეტადრე ჩვენში აქვს ვაჭარს ამ მხრით დიდი მნიშვნელობა, რადგან არც მდიდარი თავადაზნაურობა გვყავს და არც დიდი მოხელეები, რომ მრეწველობა შექმნან და განავითარონ. ამგვარად მომავალი ქართული მრეწველობის წინამორბედი—ქართველი ვაჭარია. და მიკვირს, „სანფართა" ერთადერთს დარბაისელ გაზეთს ეს როგორ არ უნდა ესმოდეს?

მაგრამ თანამედროე მრეწველობას ხშირად კოლექტივური, განსაზოგადოებული ხასიათი აქვს. დიდ წარმოებას დიდი თანხა სჭირდება. ამისთვის კი ერთი კაცის ქონება ხშირად არა კმარა და, მაშასადამე, სააქციონერო ან სხვაგვარი სამრეწველო ამხანაგობანია საჭირო.

იმავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ, ჯერ-ერთი, სამრეწველო ამხანაგობებში ხშირად ერთი ვინმე, ყველაზე უფრო შეძლებული, არის უმთავრესი, მეორე, თვითეული ამხანაგი კერძო მესაკუთრეა და წარმოების ნაყოფს მხოლოდ მის მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით მიინაყოფებს და, მესამე, მსხვილი მრეწველების გვერდით პატარა მრეწველებიც არიან და უკანასკნელთა მნიშვნელობა—მცირე არ არის.

ერთი სიტყვით, მრეწველთა ურთიერთობა—კერძო საკუთრებაზეა დაფუძვნებული მაშასადამე, პირადი სარგებლობისა და ინციატივის თანშემწე და წამქეზებელი და სამრეწველო განვითარების უმთავრესი აღმამოძრავებელი და მბიძგებელი ძალი—კერძო საკუთრებაა.

დაგვრჩა განსახილველად კიდევ ერთი საძიებელი. რა როლი ეკუთვნის ეკონომიური წინსვლის ქმნადობაში ეგრეთწოდებულ მწარმოებელ ამხანაგობათ? უდიდესი—მეტადრე ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში მაგალითად, როდესაც მევენახე, მებაღე და მებოსტნე იმავე დროს გამყიდველებიც არიან, ერთი მხრით, მევახშეთაგან ითავისუფლებენ თავს და, მეორე მხრით, რადგან მთელის თავისი საწარმოო საქონლის გამყიდველები თვითონვე არიან, სამეურნეო გაუმჯობესების აუცილებლობის შეგნება ემატებათ.

მაგრამ შემცდარია, ვინც ფიქრობს, მწარმოებელი ამხანაგობა სოციალიზმის ნასახიაო. პირიქით, ამგვარს ამხანაგობაში კოლექტივური, საზოგადო, კომუნური მუშაობა მხოლოდ საერთო საშრობთა, სარდაფთა, საწყობთა, შესანახთა და აგენტთა მოწყობასა და დაქირავებაშია განხორციელებული, თვთ წარმოება კი—ინდივიდუურია, მწარმოებლის კერძო ინიციატივასა და შრომის-მოყვარეობაზეა დამყარებული. და სწორედ კერძო ინიციატივისა და კოლექტივური შეამხანაგების კეთილშეზავება შობს წარმატებას. მოსპევით ერთ-ერთი ნაწილი, ელემენტი, ამ ორგანიზაციისა,—და შენობაც დაინგრევა.

ამგვარად ჩვენ აღვიარებთ, რომ ეკონომიური წარმატებისათვის საჭიროა ერთსაიმავე დროს ვაჭრობისა და მრეწველობისა განვითარება და, როგორც თავისი პირადი ინიციატივით მემოქმედე ვაჭარ მრეწველთა, აგრეთვე სავაჭროთა, საკრედიტოთა და მწარმოებელ ამხანაგობათა გამრავლება. იმავე დროს მხოლოდ იმგვარი საწარმოო წესი შეიძლება იყოს ნაყოფიერი და ცხოველ-მყოფელი, რომელშიაც კერძო ინიციატივა და კრებულის მიერ შობილი დისციპლინა, თავისუფლების შებოჭვა, ერთიმეორეს არა სჩაგრავენ არამედ, პირიქით, კეთილრაბამად შენაწევრებულია.

ვასილ წერეთელი.

გაწითლებული!.. ტახტზე არაფერი სჩანს!.. სად წავიდა, სად... პასუხი არსაიდან. მხოლოდ ქარი კი ისევ ღრიალებს:

„მოკვდა ადამიანი“!

ჰკივიან გარეთ. იგონებენ მიცვალებულის სიტყვებს და კეთილს წარსულს. უსაყვედურებენ: რად მოგვშორდი ასე მალე და რად მიგვატოვე. იწეწავენ თმებს, იმჯიღნიან მკერდს, სახეს იხოკავენ და კედელს თავებს უხათქუნებენ. შავათ გამოგამოწყობილი, თმებ გაწეწილი და შეშლილის მსგავსი ქარი კი ეხლა ფეხ-აკრეფით მოდის და ჩურჩულით ჩასძახის ყველას:

„სუ!... ჩუმათ!... მოკვდა ადამიანი“.!

მალე მიცვალებული ამოთხრილ ორმოში უნდა ჩააგდონ და შესაჭმელათ ჭიამატლებს უნდა მიუგდონ˙ საწყალი ადამიანი! იგი ხომ ასე უფრთხილდებოდა თავისს სხეულს: იბანდა, ირეცხდა, ისუფთავებდა. ზამთარში თბილ ტანასამოსში იყო გამოხვეული: სხეულს სიცივეს არ აკარებდა; ზაფხულში დროს შესაფერად . იცვამდა ..

ჰმ! ეხლა?

ტირიან ცოცხლები! ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდით სახეზე...

ჯავრისაგან გაშმაგებული არიან. რათა? ებრალებათ თავისთავი. იმათაც ხომ ცოცხლები ორმოებში გადაისვრიან, ჭია-მატლების გასაძღებათ. მათ საყვარელ, ეხლა თბილ სხეულს ხომ შავ მიწას დააყრიან... მაგრათ დასტკეპნიან.. და ამას რომ წარმოიდგენენ არ იტირონ?

„მაცალეთ! ცოტათი დამასვენეთ!“-ეუბნება ცოცხლებს დატანჯული მიცვალებულის სული, რომელიც ჯერ კიდევ ოთახშია და მსუბუქათ დაფარფატებს.

შავი ქარი შეუსვენებლათ მიჰქრის და ნაღვლიანი ჩურჩულით ყველას ჩასძახის ამ სამწუხარო ამბავს. მერე მოდის, გულს ველარ იმაგრებს, თვალებზე ცრემლები აწვება და წვიმისფრად რწყავს დედამიწას... ამოიგმინებს ხანდისხან მწარეთ... გაშრიალდება და ვინც ყურს დაუგდებს ამ შრიალს, ის უთუოდ გაიგონებს.

„სუ! ჩუმათ!... მოკვდა ადამიანი?·!·

აბესალომ ტაბიძე.

## ცაგერის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობას.

ხსენებული გამგეობის წინადადებით ადგილობრივ მცხოვრებლებმა შემოიტანეს გოგირდ-შაბიაბანის დასაკვეთად ფული, მაგრამ, საუბედუროდ ჩვენდა, შაბიაბანი მივიღეთ მცირე (სულ 9 ფუთი), ისიც გვიან და თითოეულ დაკვეთილ ფუთზედ გაგვხვდა სამ გირვანქა ნახევარი შაბიაბანი, რამაც ოდნავადაც ვერ უშველა ჩვენს დავადმყოფებულს ვენახებს და შარშანდელი დამძრალი ვენახი წელს მოსპობის გზას ადგია. შაბიაბანზედ მოვტყუვდით აშკარაა და გამგეობამ ამის შესახებ ნაკლები უნარი გამოიჩინა; სავალალო კიდევ ის არის, რომ გამგეობის თავმჯდომარის მიერ შაბიაბნის მოსატანად გაგზავნილმა კაცმა ე. მ—მა გზაში სადღაც გააქრო ფუთი და 10 გირვანქა შაბიაბანი და გამგეობა კი თავმჯდომარიურთ დღემდის ყურსაც არ იბარტყუნებს ამის შესახებ. ამ მიზეზის გამო თითოეულ დაკვეთილ ფუთ შაბიაბანზედ დააკლო გამგეობამ თითო პირს ნახევარ ნახევარი გირვანქა შაბიაბანი, რის გამო მცხოვრებნი იძულებული ვიყავით მევახშეებისაგან გვეყიდნა შაბიაბანი გირვანქა 2 მან. 40 კაპ ასე რომ გაგზავნილმა კაცმა რომელმაც თავისი კერძო საქმეებისათვის ისეირნა ქუთაისში სამი კვირა, დაგვაკლო 125 მან. და თუ ამას მიცემულ გზის ფულს 20 მან მივუმატებთ, შეიქმნება 145 მან. ამ დაკარგული შაბიაბნის შესახებ აქამდისინ გამგეობამ არავითარი ანგარიში პასუხი არ მოსთხოვა იმ ყმაწვილს, რომლის სიტყვები ეწვებსა ჭბადებს ხალხში იგი ხან ამბობდა: „წვიმამ დაადნო შაბიაბანიო“, ხან: „მეეტლეს ჩავაბარე და არვიცი-რა უყოო“... ხალხში-კი ხმა დადის, რომ ეს შაბიაბანი უნდა გაიყიდულიყოს.

ყოველ შემთხვევაში გამგეობა ვალდებულია გამოარკვიოს ამ საქმის გარემოება და ხალხის ღარიბ ჯიბეს დაუბრუნოს დაკარგული 125 მანეთი, ხოლო გაგზავნილი კაცის საქციელი ამცნოს საზოგადოებას.

უკანასკნელ ვსთხოვთ გამგეობას გვაცნობოს გაზეთის საშუალებით: რამდენი ფული იქმნა შემოტანილი მცხოვრებთაგან შაბიაბნის დასაკვეთად, რამდენი გაიგზავნა ქუთაისის ბიუროში, ვის რამდენი დაურიგდა შაბიაბანი და უკან ვის რამდენი ფული უნდა დაუბრუნდეს?

ამხანაგი.

## ნ უ თ უ?

(პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა).

(იხ. „სამშობლო“ № 400.)

დაგვრჩა ეხლა მეოთხე და უკანასკნელი ბრალი, ყველაზე მეტად შემაძრწუნებელი და საშინელი, რადგანაც თითქმის კაცის-კვლამდეა გაჭიმული რა ზნეობურ ავლა დიდების პატრონია ჩემი პატიოსანი მხილებელი, ისე აშკარად არსადა სჩანს, როგორც ამ მეოთხე ბრალის დაწამებაში, საცა მე და ჩემს მოურავს თუ კაცის მკვლელად არა, კაცის სიკვდილის მიზეზად მაინც გვხდის აქ ამოენა საზიზღარს ბრალსა გვდებს ორ კაცსა და ერთს სიტყვსაც, დიახ, ერთს სიტყვასაც მართალს არ ამბობს, თორემ ხომ ვნახავთ, თუ მკითხველი იმოდენა პატივს დამდებს, მოთმინება იქონიოს და ბოლომდე ჯერ თვით ავტორს მოუსმინოს მის მიერ მოთხრობილი ამბავი და მასთან ერთად ჩემი საბუთებიც განიკითხოს.

„ამ ზამთარსაო, უთქვამს ვითომც ავტორისათვის ერთს გურამიანთ კარელს გლეხს—„დიდი ყინვებისაგან სოფლის სასმელი წყ,ლი გაიყინაო ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩითო“.

ეს მთლად თავიდამ ბოლომდე ტყუილია. ამის დასამტკიცებლად საკმარისია მარტო იგი ადვილად და უტყუარად შესამოწმებელი გარემოება მოვიხსენიოთ, რომლის კვალიც თავის დღეში არ წაიშლება, თუნდაც მთელი სიბრძნე „მოგზაურისა“ და სიცრუე ავტორისა ზედ დააბერტყოთ. საქმე ის არის, რომ სოფელ გურამიანთ-კარს, მისდა საბედნიეროდ და ავტორის საუბედუროდ, შიგ სოფელში ეგრედ წოდებული თეზამის წყალი ჩამოუდის. ამას გარდა, შიგ სოფელშივე არის წყარო, რომელიც ამ ოცი წლის წინად გამოიყვანეს სტაროსელსკიანთ მილებით, როგორც თავიანთვის, ისე სოფლისათვის. ეს წყარო კარგა მოზრდილია ასე, რომ კოდიც კი უდგა საქონლის წყლის სასმელად.

—თეზამის წყალი ხევისწყალია და გაშლილ მინდორზე მოდის შორიდან. რა თქმა უნდა, ბევრჯელ ზამთრობით იყინება ხოლო გურამიანთ-კარის წყარო-კი თავის დღეში, რაც გინდ ძლიერი ზამთარი იყოს, არა დროს არც გაყინულა და არც გაიყინება, როგორც მოგეხსენებათ, ბუნება წყაროს წყლისა. ვთხოვ ბატონ რედაქტორს „მოგზაურის“ და მის მიერ განებიერებულს ავტორს მიბძანდნენ და იქავ, ადგილობრივ შეამოწმონ ჩემი ნათქვამი. აქ მოწმად მომყავს იმისთანა უტყუარი, იმისთანა დაუქრთამავი მოწმე, როგორც ბუნებაა, და თვალად დასანახავი გარემოება.

გზა რომ არ შეეშალოთ, წინადვე ვანიშნებ, რომ თეზამის წყალი და წყარო იქავ გურამიანთ-კარშია, ხიდ ქვეშ გამოდიან, სტაროსელსკის სახლის წინ. ამ სახლსა და ამ წყლებ შუა სულ ორი საჟენი შარა გზაა სოფლისა.

აშკარაა ნამბობი ვითომდა გლეხისა „ამ ზამთარს წყლები გაგვეყინა ასე, რომ უწყლოდ დავრჩითო“, ან კუდიანი ტყუილია გლეხისა, ან ზღაპარია თვით ავტორისაგან, ხელდახელ შეხანხლული იმის ძალით, რომ რაც მელას აგონდება, ის ეზმანებაო.

ესეთი ცხადზე უცხადესი ტყუილი ერთად ერთი სათავეა, საიდამაც ჩვენს სახელოვანს ავტორს ნარმოუდენია იგი შემაძრწუნებელი ტრაგედია, რომელსაც კაცის კვლის მიზეზად მედ და ჩემს მოურავსა გვხდის.

რაკი ეს ერთად ერთი სათავე მიწით ამოემსო და ჩაეფუშა, რაკი ძირიან-ფესვიანად გამოენგრა ეს ერთად-ერთი საძირკველი, რომელზედაც ასე უშიშრად აუგია ჩვენს მაბეზღარს მთელ შენობა თავისის სიბრძნე-სიცრუისა, სხვა დანარჩენი ნაშენი ფეხზე როგორღა იდგომილებს და როგორ არ დაემხობა პირქვე თავის თავად ამიტომაც მე მარტო ამ ერთად ერთის საძირკვლის დარღვევა უნდა მეკმარა და აქ დამესვა წერტილი მაგრამ რა ვქნა ჩემდა სამაბეზღად ტყუილზე ტყულის აწებოებს.

ხომ ათქმევინა გლეხს ის აშკარა ტყუილი, ვითომც ამ ზამთარს გურამანთ-კარელებს წყლები გაჰყინვიათ ასე, რომ მთლად უწყლოდ დარჩენილა. ეს ტყუილი თავის თავად არაფერს ნიშნავს კაცი იტყვის: ილია ჭავჭავაძის რა ბრალია, რომ გურამიანთ კარში ზამთრობით წყლები იყინებაო. მოუთმინეთ, ბატონებო, ავტორს,—ის მოგახსენებთ, აქ ძაღლის კუდი სადა მარხია. აი იგი რას მოგვითხრობს, ვითომდა გურამიანთკარელს უამბნია:

„სოფელ ზევით სამ ვერსტზე ტყეში მიუვალ ღელეში ჭავჭავაძის მამულში გამოდის პატარა წყარო რომელიც ზამთრობით არ იყინებაო“

ესეც ისეთივე მტკნარი ტყუილი, ან მოლანდებული ზმანებაა თვით ავტორისა. თუ ჩვენი ცრუპენტელა მაბეზღარა მოწყალებას მოიღებს და გურამიანთ-კარის ზემოდ ამ სოფლიდამ სამის ვერსტის მანძილზე ჩემს ტყეში“ მიუვალ ღელეში“ ისეთს პატარა წყაროს მიპოვის, რომ ან კოკა მიდგმით აივსებოდეს, ან როგორმე დაიქავე, საცა გამოეონავს, ახლო მანძილზე სიპატარობით არ იკარგებოდეს, დიდი მადლობელი ვიქნები და, ვშიშობ არ ითაკილოს, თორემ სამახარობლოსაც მივართმევდი. აქაც მოწმად მოვიყვან თვითონ ბუნებას და თვალთა სანახავს გარემოებას, რომელნიც ყოველთვის და ყოველ ჟამს უტყუარნი არიან, სხვა არა იყოს რა, მე თვითონ სხვისი მამულიდამ ჩემს ეზოში მილებით გამოყვანილ წყალს ვხმარობ იმას კია აღარ ვამბობ, რომ გურამიანთ-კარს ზემოდ ტყე სტაროსელს-კისაა და არა ჩვენი: ჩვენს ტყესა და გურამიანთ-კარის შუა სტაროსელსკის ტყე, მინდორი და ვენახებია კარგა მანძილზე,

მგონი ცხადია, რომ გურამიანთ-კარელნი ამ ზამთარს და არც როდისმე უწყლოდ არ დარჩომილან, ჩემს ტყეში მიუვალ ღელეში არავითარი წყარო არ მოიპოვება, არამც თუ სასმელად საკმაო იყოს, არამედ სახსენებლად ღირდეს... ამის და მიუხედავად გაჯიუტებული ავტორი აი როგორ მოგვითხრობს ვითომდა გურამიანთ კარელ გლეხის ნაამბობს:

„დავიწყეთ ამ წყაროთი სარგებლობაო დაგვისია თავადმა მოურავები *), ბიჭები და აგვიკრძალა წყლით სარგებლობა და თანაც გვითხრეს: ვისაც წყალი უნდა, იმან სულ თითო საქონელზე ათი შაური უნდა გვაძლიოს თვეში და სასმელ წყალს მუქთად დაგითმობთო. იძულებული ყიყავით დავთანხმებულვიყავით და მთელი ზამთარი ვაძლიეთ ეს ხარკიო“.

ამ სახით ავტორი გვარწმუნებს, რომ გურამიანთ-კარელებს „დაუწყიათ სარგებლობა იმ წყაროთი, რომელიც არსებობს და მარტო ავტორის ჭკუიდამ მოჩუხჩუხებს. თუნდაც ასე არ იყოს, რა დასაჯერებელია,—კაცმა მიუვალ ღელეში, სოფლიდამ სამს ფეხზე „ზამთრის ყინვასა და სუსხში დაიწყოს სარგებლობა პატარა წყაროთი“ მაშინ, როდესაც ცხვირწინ შიგ სოფელში აქვს კარგა მოზრდილი წყარო, რომელიც არ გაყინულა და არც იყინება.

საქონლის სასმელ წყალში თვეში ათი შაური უნდა გვაძლიოთო, უთქვამს გურამიანთ-კარელებისათვის ჩემს მოურავს და ისინიც დათანხმებულან, რადგან წყლების გაყინვის გამო მეტი გზა არა ჰქონიათ, თუ სოფელ ზევით სამ ვერსტზე ჩემს ტყეში პატარა წყაროთი არ დაეწყოთ სარგებლობა

ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ: თუ იგი პატარა წყარო მიუვალ ღელეშია, საქონელი როგორღა უნდა მისულიყო წყლის სასმელად და მეორე,—თუ წყარო პატარაა, როგორც ავტორი გვარწმუნებს, ნახირი რამდენი ხანი უნდა გაჩერდეს ისიც მიუვალ ღელეში ყინვა-სუსხის დროს, რომ წყურვილი მოიკლას? ერთი დაწაფება ხარისა თუ კამეჩისა და პატარა წყაროს ამოწრუტვნა ხომ ერთი იქმნება ამ შემთხვევაში,

ან რა საჭიროა გურამიანთ-კარისთვის სოფლის ზემოდ სამს ვერსზე მიუვალ ღელეში ყინვისა და სუსხის დროს საქონლის არეკა წყლის დასალევად პატარა წყაროზე? ჯერ ერთი რომ შიგ სოფელში, როგორც უკვე მოგახსენეთ, ცხვირწინ მშვენიერი და საკმაო წყარო აქვთ საქონლის სასმელადაც და თავიანთთვისაც. მეორე—ვერსტ-ნახევარზე თუ ორს ვერსტზე გურამიანთ კარს მთელი არაგვი ჩამოუდის, რომელიც, როგორც დიდი და ჩქარი წყალი, ჩვენში არა დროს არ იყინება მთელ სიგანეზე ისე, რომ საქონლისათვის წყლის სასმელი არა რჩებოდეს ან მთლად გაუყინავი, ან ისე თხლად გაყინული, რომ ყინული ადვილად ჩასამტვრევი არ იყოს

გარდა ამისა, არაგვს და გურამიანთ კარს შუა, მაშასადამე, სოფელზე უფრო ახლო, ერთი დიდი ფშაა, რომელიც წის ქვილებს აბრუნებს ზამთარზაფხულს, რადგანაც ფშის წყალი ხომ თავის დღეში არ იყინება. ამ წყლებისაკენ, უფრო ვაკე და უფრო მოკლე გზაა, ვიდრე ჩემის ტყის მიუვალ ღელისაკენ და ეს გზა სტაროსელსკისმამულებზე გადის სოფლიდანვე დაწყებული ხსენებულ წყლებამდე, ამ წყალზე სიარულს დასალევ წყლის ამოსატანად, ან ნახირის წყალზე გარეკას მამულის პატრონი არავის არ უშლის და მე, რომ ძალიან გულითაც მინდოდეს, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დაშლისა, ან არ დაშლისა.

ილია ჭავჭავაძე.

(შემდეგი იქნება.)

*) ჩემს დღეში ერთის მეტი მოურავი არა ჰყოლია

რედაქტორი ი. ცინცაძე.

გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულათ უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი
>
> liedesgaden für die. Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ის ამანათი უნდა გაიგზავნოს [illegible] პირველი:

Suisse, Bern Ensiugnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banbue populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროსაგან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> suisse. recommandée Comite internasional de Ia Croix rouge
> Agence des prisonniers be guerre
> Genéve.



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივად ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს 8 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 | „ |


მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიილება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის საафთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომარჩინა სრულიად სისადე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)